



ମୁଦ୍ରିତ ଭାଷାବିଜ୍ଞାନତଥାତ୍ତ୍ଵଙ୍କ

ନଂ XII

୦ ୩ ୬ ୦ ୬ ୦

1906



ବ୍ୟାକରଣ

ବ୍ୟାକରଣ ଶାସ୍ତ୍ରବିଜ୍ଞାନ ପରିଚ୍ୟା ଅଧି. "ଶାସ୍ତ୍ରମା" ମିଶ୍ରଗଳୀର ପ୍ରକାଶକ, ନଂ ୬୫  
1905

შინაარსი:

1. მერცხალს.—ლექსი შ. მდგამელიას	3
2. ბელურას სიზმარი.—ერებულისი	5
3. თამრიკოს ავადმყოფი.— დ. ჯეპარზიაშვილის	10
4. გომბეშო.—გერ. ვაგნერილი, თარგმ. ინ-ანის	16
5. თრესტის ამბავი.—დასასრული	19
6. გასართობი.—	21

---

ამ წლის პირველ იანვრიდგან „ნაკადული“ გამოდის  
ახალის ჩედაქცევით.

---

რ ი დ ა კ ც ი ი ს ა ზ ა ნ:

უმომარისებულებადა ქსონიერ გარეშე თანამშრომლებს, დაწერილებით აღნიშნონ ხოლო ნათარგმნისა და გადმოკეთებულს მასალაზე, სიღვან არის აღებული; აღნიშნონ ხოლო აგრძელებული და წიგნი ან უკრანალი, რომელშია დაბეჭდილი იყო. თუ უკრანალიდან არის გადმოკეთებული, მაშინ—წელიწად და ას გამოკეტისა, კონკრეტურ ამსახურების თავიანთა ნამდვილი აღრესიც მიაწერონ ხოლო, რომ საჭიროების დროს ჩედაქცევის დაკითხვა შეეძლოს.

ხელის მოწოდე შეიძლება:

რედაქტირი და „წერა-კოსტ. გამ. სახოვალოების“ კანცელარიაში. ქალაქი გარეულ წევნის აგრძელებათან ბათქოზი: ანგრა უკრანისათან და ნ. ლევანიშვილთან; ძალიანი ბათქოზი: „კოლხიდის“ სახოვალოებაში, ქ. ბაზარი წერეთლისა და ანნა დალეშეებულისთან; ბათუმში: მარიამ ელიაშვილისათან, და ქ. სოფია ნაკაშიძესთან; ს უზური: ქ. ტერეზია შერეაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; ახალციხეში: გრიგოლ ქიომეძესთან; თბილავში: ქ. თოზარავიშვილთან; გორიში: თამარ ჭ. ნინო ლომიაშვილებთან და ქ. ელენე ერისთავისას; ცოლიში: ქ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან; ბიბიში: ირაკლი დეკანოზიშვილთან; საჩხერიში: ყარამან ჩხეიძესთან; მარგარიტა: მარიამ ფავლენიშვილთან.

---

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელის

წლის ნომრები იყიდება 3 მანეთად



## მერცხებლა.



არგი რამ სარ, გაზაფხულის  
მოჭიქვიკე მარდო გზირო;  
ჩემი სული, ჩემი გული  
მეუბნება — შენ გიმზირო!

—

მართალია, აქამდისინ  
ზამთრის სუსსი გვაძინებდა,  
მაგრამ, ჩემო ფრთა-კოჩწიავ,  
იმის ძალას ვინ დანებდა?!

—

ეგ შენი სმა მოქღრიალე  
გაზაფხულის სხივს უმღერდა,  
ზაწაწინა მაგარ მყერდძი  
მისთვის დიდი გული სმგერდა.

—

როცა კიუბკ ისევ ბალდი  
და დავრობდი ციქციქთა,  
ა იმ დღიდან გაზაფხულსა

შენ ჩამძასდი ჭიპტიკითა.



მე ერმა ვიუბვ, არ მესმოდა,  
მხოლოდ დედა ტუობულობდა  
ჩემს გაზრდას და შენს გაზაფხულს,  
ის ხატის წინ ლოცულობდა.

კოპტია, ფრთა ჩანასკვულო!  
ვხედავ, ვხედავ, გაზაფხულდა,  
მე ჩემს მძიმელს გავეზარდე,  
და შენ ნატვრა ავისრულდა!..

გ. მღვიმელი.





## ბეღურას სიზმარი.



რე-მარე თოვლში გასვეულია, უკელაფე-  
რი თეთრად ბჟევრიალებს. სეები დატ-  
ვირთულან თოვლის ბარდან ებით და სულ  
აღარ ჩანან. ძავად გამოიუერება მხო-  
ლოდ მათი მირები. ცა მოწმენდილია,  
და საძინელი სუსი დგას. ციგა... ეინავს... ადარბეჭრი მო-  
მრაობს. ბუნებას ღრმად სძინავს. არსად ჩანან არც ფრინ-  
ველები და არც ოთხფეხნი. სიცივეს უკელა დამალვია და,  
ვისაც სად მოუსწერია, იქ შეფარებულა. ადამიანიც ჩაგეტია  
და თავის სახლში და თბილის ბუხარს მისჯდომია. ბეღუ-  
რა ჩიტებიც-კი სადღაც დამალულან. აგერ მხოლოდ ერთი  
ბეღურა საბძლის ღერეფანში ერთს მაღლა გადებულს ჭობზედ  
დამჯდარი, ბუმბული აბურძევნია, თუაღები დახუჭული აქვს და  
რაღაც ოცნებას მისცემია. დღეს დილიდან ვე თუმცა მაღლიან  
ციონდა, მაგრამ ის თავის ამსანაგებით კარგა სანს დანავარ-  
დობდა. არ შეუძინდენ სიცივეს. ბეღურებს სიცივისა მაღლია-  
ნაც არ ეძინიანთ. დაფრინავდნენ სან საბძლის წინ, სან ეზო-

ში, ემჯბრნენ საჭმელს, დაბნეულს მარცველებს. მაგრამ ბევრი კერძოული იპოვნეს და თათქმის სულ მშივრები დარჩენენ. კულტ გან თოვლით, ჭიათუაც აღარსად არის... რა უნდა ქნან ამ დროს საწეალმა ბედურებმა?..

„ეჭ, უბედურები ვართ, უბედურები!..“ ფიქრობდა თავის თვის ბეღურა: „ნეტავი იმათ, ვინც თბილ ქვეწები მიღიან ზამთრობით! ასლა იმათ საჭმელიცა აქვთ და სასმელიც და არცა სცივათ. აი თუნდ მერცხლები. ღაღგა თუ არა შემოდა გომა, ისინიც გაუდგნენ გზას თბილ ქვეწების პენ. მართალია, მგზავრობა სასიყათოა, ბევრი უბედურება სდება, გზაძი ბევრი ფრინველი ისოცება, მაგრამ განა ბედურებს უკი ცოტა სიუფათი მოელით? უკელა მხთი მტერია: ჰატარა ბიჭები ისე არ გაივლიან, რომ ქვა არ ღაუმისნონ. კაკანათები? მანები? ეჭ, ამების ნუღარ იტევით... უგაფები, კაჭკაჭები, ჩეიკებიცუკი არ დაგვზოგავენ. მაგრამ უკელაზედ ძალიან კატისა გვემინა, მეტად ვერაგია და ადვილად მოგვეპარება სოლმე. მაგრამ მტრებს კიდევ გაუშელებდით, რომ ერთმანეთში მაინც ჩხუბი არ ვიცოდეთ და მმურად ვწნოვორობდეთ. სულ უბრალო მიზე ზია საჭირო, რომ ჩხუბი მოვაკიდეს. შეიქნება ერთი ძლიაუჭოთი, დავი-დარაბბა და ბოლოს ძლივს გაუშელდებით სოლმე. აი, მაგალითად, დღეს, აბა რაზედ მოვაკიდა ჩხუბი მე და „ბღინძა“ს? ძალიან თავი მოაქვს, გაიბრინება და ჰერნია, რომ იმისთანა ქვექანაზედ აღარავინ არის. სწორედ ამ კოს-ზედ ვიკექი. ბევრი სხვა ჩიტებიც ისხდენ. „ბღინძა“ც მოაფრინდა და ჩემ გვერდით დაჯდა. თუმცა ადგილი ბევრი იუო, მაგრამ „ბღინძა“ განვებ მომაწვა. „ცოტა იქით მიიწიეთ“ და თან თავში ნისკარტი ჩამარტეა. მე გული მომივიდა, ვეღარ მოვითმინე და ერთი ჩემუბურად ჩავუთვაზე. წავიკიდენით; კარგა ხანს ვწერეთ ერთმანეთი. ბევრი ბუმბულიც ვაგლივეთ. ჩხუბი სუკელაფრი დავაკინებდა. ბოლოს ორივენი ძირს

ჩავცეივდით და მურია მაღლს, რომელიც იქმი ჩვენს ქაშმ თია  
ვაზედ იწეა, ზედ თავზედ დავეცით. მურია დაფაცურდა, უკეთეა  
ზედ წამოხტა, პირი გააღო და დააბარია ჩვენი დაჭერა, მაგ  
რამ კიდევ კარგი, მალე გონის მოვედით და თავს კუძველეთ.  
უჟუჟუჟე... რა ციგა... და მაღლიანაც მშიან!.. ას, ნეტა ესლა  
ორიოდე უეტვის, ან ზურის მარცეალი მაპოვინა!.. ნწ...ნწ...  
ნწ... რა გემრიელი იქნებოდა!“ ასე ფიქრობდა კარგა ხანს  
ჩვენი ბეღურა და ამასთბაში ჩაეძინა. საკვირველი სიზმარი  
ნახა: წარმოიღვინეთ, ვითომ ზამთარი აღარ არის. კელ-მინ-  
დორი მშვენივრად ამწვანებულა და ბეღურაც თავის ამსახავა  
ბით მინდორში დანავარდობს. იქ ბევრი ჟეპელები და ჭიები  
დაიწირეს და ბევრიც ითამბექს. იქიდან ახლა ბაღისკენ გას-  
წიეს. ჯერ აღუბლით პირი ჩაიტებანურეს, მერე ნახეს, რომ  
ერთ ხეს ძლიერ ბევრი ჭიები დახვეოდა.—არიქათ, ვეცნეთ ამ  
ჭიებს, თორემ ხეს სულ გააფუჭებენთ.—დაესივნენ უველანი და  
ზოგი შეჭამეს, ზოგიც დახოცეს. ამ დროს ერთმა ჩიტმა მო-  
იტანა ამბავი, რომ იქვე მასლობლიდ, გზაზედ, ბევრი მარცვ-  
ლებია დაბნეული, და აბა წავიდეთ შევექცეთო. წავიდნენ უვა-  
ლანი და დაუწეს მარცვლებს კენკა. ბევრი სიძღვრა და მნია-  
რულება ჰქონდათ. ჩიტები თანდათან ემატებოდნენ. ამ დროს  
მოვიდა მთელი გუნდი სხვა ჩიტებისა. იქაურობა გაიგნო ჩი-  
ტებით. ღმერთო ხემო, რამდენი იუვნენ! ღობები, გზა, მინ-  
დორი, ხები სულ სავსე იუო ჩიტებით. უველგან ჩიტები ისხ-  
დნენ. უველას ნისკარტით წითელი უაქათ ჰქირა. აჟ, რა მშვე-  
ნიერი სურათი იყო: არქ-მარე სულ წითლად ბიბინებდა. მღე-  
როდნენ: „გვაქმარჯოს ჩვენს ერთობასო“ და ბუნების მშვენი-  
ერებას შექსაროდნენ. უცებ გზაზედ გამოხნდა რაღაც უცნაური  
და საზიანდარი ნადირი. ნადირი გაბრაზებული დაერია ჩიტებს.  
ჩიტებიც მიესივნენ და დაუწეს ცემა. ზოგი თავში სცემდა, ზოგი  
თვალები, ზოგი უერებს სწევდა, ზოგი—კუდსა. ბოლოს ნადირი

ძირს დაეცა და ერთხსნის ასე მკვდარსავით ეგდო. მერე უცბად ეველა ფერი შეიცვალა. ნადირი ფეხზე ადგა. უველანი გაფრინდნენ. დარჩა მარტო ჩექი ბეღურა. თითქოს ფეხები მიწაზე მიერული აქვსო, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ მოასერსა გაფრენა. ძირით გული უსკედება და, ნადირი-კი თანდათან უახლოვდება. უცებ ნადირმა პირი გააღო და გამოექანა ბეღურას კენ. ბეღურა აკანგალდა, შესტა და გამოეღვიძა. ვაჭკევიტა თვალები და ნახა, რომ მას ეპარებოდა ხეადი კატა. კატა ჯოხზე გადასულიერ და ნელ-ნელა უახლოვდებოდა. ვიღრე ბეღურა მოი-



ფიქრებდა გაფრენას, უცებ ჯოხი დაუირავდა და ძირს ჩა- გარდა. კატას მიწაზე დებაპანი მოსმერა, ჩიტიკი გაფრინდა. ამ სმაურობაზე გამოეღვიძა მურიას. დაინახა თავის მტერა მოუკარე კატა და უფით გაექანა მისკენ. შეიქმნა ერთი ალია აქოთი, ფხაჭა-ფხეჭი. ბოლოს, როგორც იქო, კატა ავარდა.

ბოძზედ და იქ მღივს გადაირჩინა თავი. მაგრამ მურია მაინც არ  
ეძვებოდა. ღაცუცექდა უკანა ფეხებზედ და გაბრაზებული ძევჭუჭუ-  
რებდა:—სულ ხომ მანდ არ იქნები, ხომ უნდა ჩამოხეიდეთ.—  
სწორედ კატის ბედზედ, ამ დროს რაღაც ხმაურობა მოისმა,  
და ჩვენი მურიაც იქით გაუქანა ეუფით. კატა მაშინვე ჩამოხტა-  
ბოძიდგან და სადღაც მიიმალა.

ყიყლიყოთ.





## თამრიკოს ავადმყოფი.

ერთ მოქმედებიანი საბავშვო პიესა-ხუმრობა.

მომქმედი პირი:

თ ა მ რ ი კ ო	—	9 წლისა.
ვ ა ხ ტ ა ნ გ ო	—	10 წლ. მისი ძმა.
შ ა ლ ვ ა	—	12 წლ. მათი ბიძაშვილი.
ძ ი ძ ა.		

(სცენა წარმიადგენს პატარა თოახს. მარჯვენა და შეს პედესტალზე კარგულად დაკლილია. მარცხენა კედელთან დასაბადა შეკუთი დგას, სადაც თამრიკოს შურაბებია უდაგათ. შეს თოახში მაგიდა დგას. მაგიდაზე საბავშვო სათამაშოებია; მათ შორის მაგოულის სკო-ღიგინია, რომელზედაც თამრიკოს დედოფალა წევ).

გამოსელი პირველი.

თამრიკო.

თამრიკო. (მარტოა. შემოირბენს ბაღიდან). უჟ, დამცხა! რამდენი ვირბინე! ჩემი დედოფალა-კი სულ დამავიწევდა. საწელი, უჩემოდ მოიწეუნდა. (მაირბენს მაგიდასთან და დედოფალას სელძი აიღებს) უპატრავად, გენაცვალე, მარტოდ მარტო დაგტოვე. სომ მაპატიებ, ჩემთ დარევან? (ალექსით) ლა კქნა, ლა ცემი ბლალია, პეტელამ გამიტუეილა!

დავწევლოს დმერომა, ღა ღამაზი ღამა ხალ! (აკოცებს, შეძლებ გულმტკიგნეულად ჭკითხავს). ხომ არ გეძინება, დარიკო? ჴა, არ გეძინება? მე რომ მოვედი, გეძინა და აღარ გამოგაფხისლებ, დაიძინე. (ხელით ოთახში ატარებს, არ წევს და თან ნანას უძღვერს). იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ, ნანინაო; დაიძინე, გენაცვალოს, შენი თამრიკოო. (კედლამდის-მივა, უკან გამობრუნდება და ამ დროს დედოფალას კედლებედ-თავს მიახლევინებს უცაბედად.) ვაიმე, დედილო! თავი გაუტედ მცონი... ოფალები დახუჭა, კვდება! (ამ კვირილზედ ვახტანგი შემოფარდება).

გამოსვლა მეორე.

### თამრიკო და ვახტანგი.


ვასტანგი. რა იქო, რა გადრიბლებს?

თამრიკო. ჩემი დედოფალა პატება, ვახტანგ! თავი პატელს მიარტება...

ვასტანგი. მერე მაგისთვის რა გადრიბლებს?

თამრიკო. როგორ თუ რა მაღრიბლებს?! თავი მიარტეა კედლებს, კინაღამ ხელში მომიკვდა. შენი უტვინო და გამოფიტული ბზრიბლა ხო არ გირნია, დღეში ორმოცვერ-რომ მიახლევინებ ხოლმე თავს და მაინც არა სტკივა-რა! იმას თავში არაფერი უერია და იმიტომ არა სტკივა. განა ესეც ის არის?!

ვასტანგი. (ამხედ) ჩემი ბზრიბლა რა შენი ხელ-წამოსაკრავა? ან როგორ ბედავ, რომ შენს რეტიანს და მართლაც რომ უტვინო დედოფალას ჩემს ბზრიბლას ადარებ. ეგ ხმასაც არ იღებს და არც ადგილიდან იმურის და აბა, ჩემს ბზრიბლას შეხედე ერთი, როგორი ბროწრბლი და სიმღერა იცის. ისე ცეკვას, რომ ნამდვილი მოლექურე გეგონება. დიდი რამ მოხდება, თუ შენი ქახალი დედოფალა რამეს იტყენს!



თამრიკო. ქაჩალი რად იქნება! შენ ეი! ქაჩალი უშენ  
თითონ ხარ.

ვასტანგი. მაშ რა არის? ერთი თმაც აღარ აქვს, სულ  
ფისომ დაბლივა გუშინ-წან. აბა უნახე. (იღიმება).

თამრიკო. მე ნანასიცა მაქვს და გათავებულაც. მთელი  
ღღე ხელძი მიჟირავს და ვერ შევამჩნევდი, თუ ქაჩალი ერ-  
ფილიულს? გულ-წასული არ იუს, გაჩვენებდა სეირს, მაგრამ  
დრო იპოვე და დასცინი განა?

ვასტანგი. აბა ერთი მაჩვენე; რა ქეცი ამოუვიდა შენს  
დედოფებლას?

თამრიკო. რა დროს სუმრობაა, რა გქნა! აქ ჩემი დე-  
დოფალა ლამის სელძი მომიკვდეს, და ეს კი მასხარობს.

ვასტანგი. კარგი, ჰო, მეცნიერო, მაჩვენე. (იცინის).

თამრიკო. (დედოფალას ვასტანგს მისცემს) შენ ხომ,  
ერთი სიტყვით, თავი გისკდება სიბრძნით.

ვასტანგი. (თმებს აუწენვს დედოფალას) უჲ, რა ბინმუ-  
რად გეოლია. (ემაკური ღიმილით) თავი არც კრთხელ არ  
დაგიბანია ამისთვის? თუ გინდა, ესლა დავბანოთ, სისხლიც  
მოუცლება.

თამრიკო. (სიტყვას ბანზედ აუგდებს) ხომ არ მოკვდე-  
ბა, ვასტანგ?

ვასტანგი. (ისიც სიტყვას ბანზე აუგდებს) სხვა არა  
იუს-რა, სიბინმურე კაცისთვის მეტად მაგნებელია, მეტადრე  
ავადმყოფისთვის.

თამრიკო. (ისევე) მალიან ხომ არა აქვს გატესილი?  
ხომ არ მოკვდება?

ვასტანგი. (გაბრაზებული). მოკვდება და მოკვდეს!

თამრიკო. მოკვდეს რა!.. შენ ჩემი დედოფალა უბრალო  
რამ-კი ნუ გვონია.

ვასტანგი. მოსაკვდომი უნდა მოკვდეს, მაშ რა გვონია?

თამრიკო. (განსხვლებული) რათაო რა? თუ კარგია, შენი ბზრიალა მოკვდეს. (ატირდება) მე რომ შენი „ბუხრებისა“ შემენდავსედ“ ვსოდა მოკვდეს მეთქი, გიამგბა? თუ კარგია, ის მოკვდეს. ფინთო, ემმაკო! (დედოფალას სელიდან წაჟალევს).

გასტან გი. (ავაგრებს) მოკვდეს, მოკვდეს შენი დედოფალა! რის მაქნისია? სანაცვები უნდა გადავაგდო ამაღაძ. (გარედ გაგარდება).

თამრიკო. (ტირილს უმარებს) დამესხენი მეთქი... (ძემოდის ძიძა).

გამოსვლა შესამე.

თამრიკო და ძიძა.

ძიძა. რა გატირებს, გენაცვალოს შენი ნენეი?

თამრიკო. ვასტანგმა, შენი დედოფალა მოკვდესო.

ძიძა. ი-ი-ი, ქაჯან, რა უკრს უკრებ, ის სულელია.

თამრიკო. აი, ძიძა, ჩემს დედოფალას თავი გაუტევა.

ძიძა. აბა, გენაცვალე, სადა?

თამრიკო. (თბებს გაუძლის დედოფალას და ძიძას აჩვენებს) აი, დასე!

ძიძა. უი, ქა! რა ძიქნ გასტენია.

თამრი. აღარ მორჩება?

ძიძა. რა ვიცი, გენაცვალე, მე „დოხტერი“ არა ვარ და!

თამრი. მამ მოკვდება? (ტირილს აპირებს).

ძიძა. (უცბად წამოიძახებს) არა, ქა, სასიკვდილო რა სჭირს, ვევარიმც სწერია.

თამრი. (დამშეიღება) მაშ ექიმი მოარჩენს, ვანა?

ძიძა. მა რის ექიმია, თუ მაგისთანა ავადმეოულებსაც არ მოარჩენს.

თამრი. მამ კარგი! (თამრიკო გარედ გარბის, ძიძა უკან მისდევს და მისძასის: „დაიცა, თამრიკო, სად მისვალ, ქაჯან?“)

მარჯვენა ქარებით გადიან ორივენი. შემდეგ გახტანგი და შალა  
კა შეა გედღის ქარებით შემოდიან ფეხაკრებით)

გამოსვლა შეოთხე.

ვახტანგი და შალვა.

ვახტანგი. (ფეხაკრებით შემოვა, აქეთიქით მიიხედ-  
მოიხედავს) შემოდი, არაფინ არის...

შალვა. იქ ვეღარ შეტუოდი? (შემოდის).

ვახტანგი. ეხლახანს თამრიკომ დედოფალას კედელზე თავი  
მიახლევინა და ტირილი მორთო, ასე ეცონა, მოკვდაო. ეხლა,  
ამ თოახიდან რომ გადიოდნენ, ვერ გაიგონე, ძიძამ რომ  
თამრიკოს უთხრა, ექიმი მოარჩენო?

შალვა. (თვალებ-დაწესეტილი) გავიგონე, მერე?

ვახტანგი. პირის ჩაგემრიელებაც სომ გინდა?

შალვა. მინდა და ეგრე!

ვახტანგი. გადაცმა სომ არ გეხარება?

შალვა. თუ იმ გადაცმით პირსაც ჩავიგემრიელებ?

ვახტანგი. მე სომ ეგრე იქმნება.

შალვა. სომ არ მატეუებ?

ვახტანგი. არა, მეთქი. აი რა გითხრა: მე თამრიკოს გეტევი,  
ექიმს მოგიუვან მეთქი, შენ მამიძენის ფრაკი, ცილინდრი და  
სელთათმნები ჩაიცვი...

შალვა. დაიცა რა გითხრა: შენ ეს მითხარი, რით ჩა-  
ვიგემრიელებთ პირს? (ნერწევს ელაპავს).

ვახტანგი. შენ სემზე წუწები უოფილხარ. დაცადე, ვერ გი-  
თხრა და მაგაზე მერე ვიღაპარაკოთ. ჟო, შენ მამაშენის  
ფრაკი, ცილინდრი და სელთათმნები ჩაიცვი, მე შენთან მო-  
ვალ და, გითომც ექიმს, თამრიკოსთან მოგიუვან.

შალვა. მერე, რა გავაკეთო?

ვახტანგი. თამრიკოს უთხარი, შენს ავადმუოფს მურაბები

უნდა ვაჭამოთ და მორჩება-თქო, პატარა ქილებით აქვთ სისხლის და სხვანაირი მურაბები, და მერე შენ თვითონ მიხვდები, რომ კორც უნდა მოიქცე.

ბალგა. სახეზედ რომ მიცნობს?

ვასტრ. შენ რომ ბებერი კაცის წვერ-ულგაძი გაქვს, ის გაიგეთ.


ბალგა. კარგი, ეხლავ მზად ვიქნები. (გასვლას აპირებს).

ვასტრ. მოიცა, სათვალებიც გაიკეთე, არ დაგავიწედეს.

ბალგა. კარგი, კარგი... (გაფარდება ოთახიდან).

დიმ. დეკანოზიშვილი.

(დასასრული იქნება)





# გომენიშვილი<sup>\*</sup>

(გერმ. ვაგნერიდან).



ამაგელია, მასინჯი, არავის უკვარს გომბუ  
ძო. მისს ნათესავს, სის ბაჟანს-კი, ხშირად  
ღიღის ჩატივით ინასავენ ქილით წეალძი,  
რომ ამინდი თუ უამინდობა ადრევე შეიტ-  
ეონ.

ეს მოხდენილი და მარდი, მქრალი-მომწვანო არსება ბევრს  
საძინლად მოსწონს, კომბერის-კი შავი ჭირივით ჰყელა გა-  
ურბის, ზიზღით თვალს არიდებენ.

ჭაობი იბადება და იზრდება გომბუძო, მის დამპალ წუბ-  
ჟესავით ჭუჭეიანია, რუსი. გატებანილი, უმნი ტანი მესივე-  
ბული აქვს თითქოს; ბაჯაჯდანა, მოკლე ფეხები სუბუქზდა  
და ლამბად სტუნგას უშლის, ღედამიწაზე ძლივას დაბობდა-  
ვს. ბაჟანს-კი კოსტა მოცეკვავესავით ემარჯვება სუბუქადსტომა.

გარდა ამისა, კანიდგან გამოჟეონს ერთგვარი მწვავე,  
ბუროლებული სითხე, რომლის გამოც არც ერთი ცხოველი  
არ ეკარება. თვითონ-კი ფარად მფარველად იუნებს. არც თუ

---

<sup>\*</sup>) ბაყაფია.

უკვარს, რომ ხალხს თვალში ქწირებოდეს: ერთ-თავად კვლე  
ლის ხვრელებსა და სის ფუღუროებში, ან სადმე ფიჩის ქექე  
იძალება. ღამე-კი თამამად გამოდის უიუინით, რომ ჭაობებსა,  
საძიანს ბაღებსა და ბოსტნებში ჩეკულებრივს მუშაობას  
შეძიდეს.

გიამბობთ, რას საქმიანობს უშნო გომბეშო ღამ-ღამობითა.  
თუ გაგიგონიათ, დღის სინათლეზედ ქვეწად თავისუფლად  
სიარელი და ნადირობა უკელა ცხოველსა და ქვემმრომს ერთ-  
ნაირად არ ემარჯვება: მძლავრის მტრებისა ემინიანთ, იმაღა-  
ბიან. ღამ-ღამობით-კი, მიიძინებენ თუ არა დღით მოსაქმე  
სულდგმულები და ცხოველები, გამოიძლებიან თავიანთ სორო-  
ბუდეებიდგანა და არე-მარეს მოედებიან. ასე იქცევა, სხვა-  
თა ძორის, ურიცხვი ჭია-ღუაცა. შებინდდება თუ არა, გამო-  
იძლებიან, ბატონო, და მოედებიან ბოსტნებსა, სადაც კომბო-  
სტო, ჭარხალი და სხვა მრავალი მწყანილი კოსტად არის  
ჰარა და ჰარიგებული.

დღისით ღარავობას ბეღურა ჩიტები და სხვა წერილი  
ფრინველები უწევენ ბოსტან-ბაღებსა: გემრიელად შეექცევიან  
სხვა-და-სხვა მარცებსა და ჭიებს, რომლებიც ქურდულადა  
ჭკორტნიან და ჭხრავენ სხვისა სიკეთესა; ღამ-ღამობით-კი  
ჩიტებსა სძინავთ, მათს მაგიერობას გომბეშოები ეწევიან: ბა-  
ღებსა და ბოსტნებს სდარავობენ!

ჰარა და ჰარა მისდევენ ლოფორთქინებსა და მატლებს  
კომბეშოები იმ ლორწოიანს წვენზედ, რომელსაც ნიადაგზედ  
სტოვებენ ნიშნად და ავკაციობის ადგილასვე გიასლებიან გაუმა-  
ძღარისა და მსუნავს, დაუარიებებულს ღამის სტუმრებსა.  
პირების ღამეს რომ ხელიდგან როგორმე გაუსხლტეს გომბე-  
შოს ლოფორთქინა, მეორე ღამეს მაინც უთუოდ ანდერმეს აუ-  
გმბს, რადგანაც საფარს ვეღარსად წაუვა.


უწინ საძინლად სდევნიდნენ სოლმე მებაღები და მებოს-

ტნები გომბეშოსა. არ იცოდნენ, რა სიკეთეს უშერებოდნენ; სმულდათ იმიტომ მხოლოდ, რომ საზისლრები იყვნენ და უშენოები შესახედავად. ასლაუი ჰატივით ეპერობიან, ხელს არ ახლებენ, აღარ ჭისოცავენ. როგორც სახლში ქატაა თაგვების გამო ჰატივში, ისე გომბეშოა ბადებისა და ბოსტნების განებივრებული დარაჯი.

ამბობენ, მაგალითად, რომ ჰარისსა, ლონდონსა და კვირის სხვა დიდს ქალაქებში მებოსტნები განგებ თურმე ერდულობენ და თავისს ბოსტნებში ასახლებენ გომბეშოებსა, რომ მოაძენონ. ეს არასუკრი: ზოგი დიდის ზრუნვითა და სიკრთხილით სხვა ქვეყნებიც თურმე აგზავნის ხის ქარებში ჩამწკდეულს საზისლარს გომბეშოებსა, რომ იქაც მოაძენონ და იქაურს ბადებისა და ბოსტნების დარაჯებად მიუჩინონ.

ინ-ანი.





## ორესტის ამბავი.

(დასასრული).

მოულოდნელმა შეხვედრამ მეტად გაახარა ორესტიცა და იუიგენიაც, სტებებოდნენ ერთმანეთის ცეკვით და უამბობდნენ ერთმანეთს თავიანთ თავიადასავალს. მაგრამ ღრი იუი კუიქრათ, თუ ოვეორ ესწნათ თავი ბოროტ ტავრელებისაგან; ესწნი ხომ თავს გამოიდებდნენ და სასტიკად დასკვიდნენ ქურუმ ქალსაცა და მის მმახაც.

ბევრი იუიგენიამ და, რაკი სხვა გზა ვერ მოხასა, ისევ ქალ ღმერთ არტემიდას მიჭმართა ვეღორებით, ესხნა დამძა სიკვდილისაგან. არტემიდამ შეიბრალა თავისი ქურუმი ქალი, რომელსაც ამდენი უბედურება ენახა, და უბრძანა ტავრელების მეფეს, ხელი არ ეხლო იუიგენისა და ორესტისთვის და ნება მიეცა თავისუფლად დაბრუნებულიერენ თავიანთ სამშობლოში.

გახარებული და-მმა მსნედ შეუდეა შორ გზას, უმიშრად გასცურეს ზღვა და მშვიდობით მივიღნენ მიერნაში.

ამ ღრიოდან დაწებული ორესტისა და იუიგენის ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ. ორესტმა ცოლათ შეირთო საარტას მეფის მენელოსის ქალი—ჰერმიონა და, როცა მოსუცი სიმართი მოუკედა, საარტის სამეფოც ორესტის დარჩა.

ორესტის ერთგული მეგობარი, პილადე, ჭირში რომ არ მოშორებია თავის მმობილს, ლხინშიაც მასთან ცხოვრობდა:

ცოლად შეირთო ორესტის და ელმეტრა და განუშორებლივ  
ცნოვრობდა ორესტან ქრთად.

დიდხანს იცოცხლა ორესტმა და, როცა გარდაიცვალა,  
სპარტისა და მიკენის მეფეებ მისი შვილი ტისამენოსი გახდა.  
ამ ტისამენოსის მეფობის დროს იუო, რომ სპარტას შემოე-  
სიენ დორიელების საღსი ჰერკულესის შვილის-შვილების მე-  
თურობით. ტისამენოსმა ჯარს მოუეარა თავი და მხნედ დახუ-  
და შემოსეულ მტერს, მაგრამ დორიელებმა გაიმარჯვეს და  
სპარტა წაართვეს. გაბრაზებულმა მეფემ თავი მოუეარა ეველა  
იმათ, ვისაც არ უნდოდა დორიელების მძიმე უღელ ქვეშ  
ცნოვრება, და შეებრძოლა ონიელებს, რომელთაც დორიელე-  
ბი შემოუშვეს მის ქვეუანაში. დამარცხებული თნიელები ჩრდი-  
ლოეთისაკენ გაიქცენ და თავიანთი ქვეუანა ტისამენოსსა და  
მის მეომრებს მიუტოვეს. თუ ტისამენოსი სპარტიდან გან-  
დევნეს, სამაგიეროდ შეიძინა ასალი სამეფო, რომელსაც სა-  
ხელად აქადა ერქვა და რომელიც ერთ დროს უძლიერესი თვ-  
მი შეიქმნა მთელს საბერძნეთში.






# I

თბალი გვათვალის.

აიღეთ ქარტონის ორი ნაწერი ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე. ვინც კი დახედავს ამ ნაწერებს უკველად იტევის, რომ



ბ. უფრო გრძელია ვიღორე ა. მაშინ თქვენ აიღეთ ბ და დაადგით ას და გაოცებული მაუვრებული დაარწმუნეთ, რომ ეს ორი ნაწერი არავზით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან არც თდენობით, არც გარეგნობით.

# II

შეადგინეთ ცხრა წერტილისაგან სამი ოთხკუთხი.

სახუმარო პითავაზი.

- 1) რომელ თვეში უფრო ცოტასა სწავლს კაცი?
- 2) რატომ არ შეიძლება, რომ ორი დღე ზედი-ზედ იწვეოს?



გ ა მ თ ვ ა ნ ე ბ ი.

- 1) ორჯელ შობილი ერთჯელ კვდება.
  - 2) გახტა რებლი, გაჭერა ჯარი.
- 

გ ა რ ა დ ა.

ანბანის უნდო ასოა  
სიტევის პირებელი ნაწილი;  
მეორეს ცხენსა ეტევიან,  
თუ რომ წასვლის აქვთ წადილი;  
მესამე ღრუბლებს გაჟფანტავს  
და ცედ დარს ძოასწავებსა;  
სამივე ერთად, ბავშვებო,  
ემაწვილებს გაახარებსა.

---

## პ ხ ს ნ ა

გემრიელი ქართული საჭმელისა:  
ჩიტი—სიტევაა; ამ სიტევის თავი—ასო ს არის.  
კოჭი—სიტევაა; ამ სიტევის კუდი—ასო ი არის.  
ხასვი—სიტევაა; ამ სიტევის თავი—ასო ს არის.  
ვირი—სიტევაა; ამ სიტევის გული—ორი ასოა—ირ.  
ერთიც თმა ჩაურიეთ თმა=ჩისირთმა.  
შარადის ახსნა: მე+ხი=მეხი.  
გამოყანების ახსნა: 1. თვალები, 2. ცოცხი, 3. თოფი.

---



ପାତ୍ର